

**განმარტებითი ბარათი**  
**„საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის**  
**შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მომზადება განაპირობა საბაჟო კანონმდებლობაში უწყვეტად მიმდინარე სრულყოფის პროცესმა, კონკრეტულად კი საბაჟო პროცედურების დახვეწის და გამარტივების აუცილებლობამ, საბაჟო კონტროლის მექანიზმების სრულყოფამ, წინააწმდეგობრივი და ორაზროვანი დებულებების გასწორებამ და სამართალდარღვევის ნორმათა სრულყოფამ.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია საბაჟო პროცედურების გამარტივება და რიგი დებულებების სრულყოფა, საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია, ადმინისტრირების ეფექტურობის ამაღლება.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

1. კანონპროექტით მე-4 მუხლს ემატება მე-4 ნაწილი რომელიც ითვალისწინებს ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას საბაჟო ორგანოს სახელით დოკუმენტებზე (მათ შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე) შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ საბაჟო ორგანოს თანამშრომელზე ხელმოწერის უფლებამოსილების დელეგირებას, რითაც პროცედურულად გამარტივდება გადამხდელთა მომსახურება.

2. მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის ცვლილება ითვალისწინებს საქართველოს საქონლის სტატუსის მქონე საქონლის ჩამონათვალის დაზუსტებას. კერძოდ. წარმოდგენილი პროექტით მოქმედ რედაქციას ემატება: საბაჟო ორგანოს მიერ განკარგული საქონელი, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონელი, ამ კოდექსის 116-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემოტანილი საქონელი, მხოლოდ საქართველოს საქონლისაგან წარმოებული საქონელი და ის საქონელი, რომელიც მიღებულ იქნა უცხოური საქონლის გადამუშავების შედეგად და გაიტანება ექსპორტის საბაჟო რეჟიმით.

3. მე-7 მუხლის მე-10 და მე-11 ნაწილების ცვლილებით ყალიბდება „იდენტური საქონლის“ და „მსგავსი საქონლის“ განმარტებების ახალი რედაქცია, რომელიც გამომდინარეობს ამ კოდექსის VI თავის ცვლილებიდან და ამავე თავის მსგავსად შესაბამისობაშია მოყვანილი „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების“ (GATT) მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმების“ ანალოგიურ დებულებასთან.

4. მე-7 მუხლის 26-ე ნაწილის ცვლილება გამოწვეულია კოდექსისთვის XIV<sup>1</sup> თავის დამატებიდან გამომდინარე და ადგენს, რომ საბაჟო პროცედურას განეკუთვნება საქონლის გაშვების შემდგომი საბაჟო შემოწმება.

5. მე-7 მუხლში 39-ე ნაწილის დამატება გაპირობებულია მე-6 მუხლში დაფიქსირებული „მთლიანად წარმოებული ან მიღებული საქონლის“ ცნების განმარტების აუცილებლობით, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო საბაჟო კონვენციების მოთხოვნებიდან.

6. არსებული საბაჟო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა პირდაპირი წარმომადგენლის საშუალებით მოხდეს საქონლის დეკლარირება. პირდაპირი წარმომადგენელს კი არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია საბაჟო ორგანოს მიმართ, ამიტომ საბაჟო სამართალდარღვევისას ვალდებულია წარმოიქმნება მხოლოდ საქონლის მესაკუთრის/მფლობელის მიმართ. აღნიშნულის გამო ე. წ. „დეკლარანტები“ ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ არაპროფესიონალ,

არაკვალიფიცირებულ პირებს, რის გამოც იმპორტიორებს ექმნებათ გაუთვალისწინებელი პრობლემები.

მხოლოდ ერთი საბაჟო პროცედურის (მაგ. დეკლარაციის წარდგენის) ან საბაჟო პროცედურების მიზნისათვის უფლებამოსილი წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომლის პასუხისმგებლობაც საბაჟო ორგანოს წინაშე მუდმივად უზრუნველყოფილია 250 000 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიით.

გარდა ამისა მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის ცვლილება უკავშირდება აღნიშნული ნორმის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტებისათვის დადგენილი „ნოტარიალურად დამოწმების“ ვალდებულების გაუქმებას.

7. 9<sup>1</sup> მუხლის დამატებით დაინტერესებულ პირს საშუალება ეძლევა წინასწარ განცხადებით მიმართოს და შემოსავლების სამსახურისგან მიიღოს მისთვის საჭირო საქართველოში შემოსატანი კონკრეტული საქონლის (სეს ესნ) კოდისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის თაობაზე ინფორმაცია. აღნიშნული წარმომადგენს წინასწარ საბაჟო გადაწყვეტილებას, მას გააჩნია სავალდებულო იურიდიული ძალა და იმპორტიორს დაეხმარება საქონლის სასაქონლო კოდისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრასთან დაკავშირებული გაუგებრობისგან თავის არიდებაში, რაც ხშირ შემთხვევაში საქონლის წარდგენისას (საბაჟო გაფორმებისას) იჩენს თავს.

8. მე-15 მუხლის პირველი ნაწილის ცვლილება გამომდინარეობა მე-8 მუხლის ცვლილებიდან და უფლებამოსილ წარმომადგენელს ავალდებულებს უზრუნველყოს საჭირო დოკუმენტისა და ინფორმაციის შენახვა და საჭიროების შემთხვევაში საბაჟო ორგანოში წარდგენა და საბაჟო ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებისათვის საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად სათანადო დახმარების გაწევა.

9. მე-16 მუხლის ახალი რედაქციის ჩამოყალიბების მიზანია, შემოსავლების სამსახურს მიეცეს უფლებამოსილება უწყებათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულება გააფორმოს სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოსთან შემდგომში საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის მიზნით. ამისთვის ცვლილება შედის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კანონში.

ასევე, საბაჟო ორგანოს შესაძლებლობა ეძლევა საზღვრის დაცვის დეპარტამენტს მიაწოდოს საიდუმლო ინფორმაცია.

10. კოდექსის მე-20 მუხლს ემატება მე-4 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს, საბაჟო კონტროლის ზონაში ეკონომიკური საქმიანობა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებებისა და მგზავრების გადაადგილება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოების თანხმობითა და მათი კონტროლით.

11. 26-ე მუხლის ცვლილებით ფართოვდება ტარიფის განმარტება და მასში გაითვალისწინება ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვები და შეზღუდვები, რომლებიც გამოიყენება სეს ესნ-ში მოცემული საქონლის მიმართ. ამასთან, საბაჟო ტარიფი დამტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. ამასთან აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება 2009 წლის 1 აპრილიდან.

12. ყალიბდება კოდექსის VI თავის ახალი რედაქცია, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

ა) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგად დებულებებში (მუხლი 31) ჩნდება ურთიერთდამოკიდებული პირების განმარტება, რომელიც ადგენს პირების ურთიერთდამოკიდებულად ჩათვლის პირობებს. ამასთან, აღნიშნული განმარტება შეესაბამება „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების“ ( თთ) მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებისა“ და საქართველოს საგადასახადო კოდექსის ანალოგიურ დებულებას.

ასევე 31-ე მუხლს ემატება მე-10 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ, თუ საქონლის საქართველოში ექსპორტირების მიზნით გაყიდვის შემდეგ განხორციელდა საქონლის გადაყიდვა (მათ შორის საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის გადაყიდვა), საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება ამ საქონლის გაიმპორტებამდე განხორციელებული ბოლო გაყიდვის ფასი, თუ ასეთი გადაყიდვის მიზანი არაა საბაჟო ღირებულების ხელოვნურად შემცირება.

აღნიშნული ჩანაწერი ხსნის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრობლემას, როგორც საბაჟო საწყობში გადაყიდვისას, ასევე ისეთ შემთხვევაში, როცა საქართველოში საქონლის იმპორტამდე მოხდა შუალედური გაყიდვა—შუამავალი პირი იმყოფება მესამე ქვეყანაში, ხოლო საქონელი საქართველოში მოემართება უშუალოდ იმპორტიორი ქვეყნიდან. საბაჟო ღირებულებად მიიღება შუალედური გადაყიდვის ფასი, ანუ შუამავალსა და საქართველოში საქონლის მიმღებს შორის გარიგების ფასი.

31-ე მუხლს დამატებული მე-11 ნაწილი ადგენს, რომ თუ საქართველოში ექსპორტირების მიზნით გაყიდვის შემდეგ, საქონლის გაიმპორტებამდე გამოიყენებოდა ნებისმიერ მესამე ქვეყანაში, ეს შეიძლება გახდეს გარიგების ფასის (პირველი მეთოდი) მეთოდის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი.

31-ე მუხლისთვის მე-12 ნაწილის დამატებით შემოდის ახალი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს საქონლის საბაჟო ღირებულებად საბოლოოდ გადასახდელი ფასის მიჩნევას, როდესაც მოცემული მომენტისთვის გადახდილი (გადასახდელი) ფასი არ არის საბოლოოდ გადახდილი ფასი. მაგ: კონტრაქტი ითვალისწინებს კონტრაქტითვე გათვალისწინებული ერთეულის ფასის გაზრდას, რაიმე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში (მაგ. ვერ მოხდა დაგეგმილი რაოდენობის საქონლის რეალიზაცია).

და პირიქით, მაგ: კონტრაქტი ითვალისწინებს კონტრაქტითვე გათვალისწინებული ერთეულის ფასის შემცირებას, რაიმე პირობის შესრულების შემთხვევაში (მაგ. დაგეგმილი ან მასზე მეტი რაოდენობის საქონლის რეალიზაცია).

ასეთ შემთხვევებში საჭირო იქნება მანამდე წარდგენილ დეკლარაციებში (საბაჟო და საგადასახადო დეკლარაციებში) ცვლილებების განხორციელება.

ბ) 32-ე მუხლს დამატებული მე-5 ნაწილი განმარტავს ფაქტიურად გადახდილ ან გადასახდელ ფასს – და ადგენს, რომ მასში შედის ყველა გადახდა, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი, რომელიც წარმოადგენს საქონლის გაყიდვის პირობას, გადახდილს მყიდველის მიერ გამყიდველისთვის.

32-ე მუხლის პირველი ნაწილის ცვლილებით კი ზუსტდება, რომ საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პირველი მეთოდი (გარიგების ფასის მეთოდი) არ გამოიყენება მაშინ, თუ საქონლის გაყიდვა არის დაკავშირებული რაიმე პირობასთან, რომელთა შეფასება (ღირებულების დადგენა) შეუძლებელია საქონლის ღირებულებასთან მიმართებაში. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პირობის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია ეს ღირებულება ჩაითვლება მყიდველის მიერ ირიბ გადახდად და განიხილება ფაქტიურად გადახდილი ფასის ნაწილად.

გ) 33-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების მიხედვით იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების დასადგენად იდენტური საქონლის საბაჟო ღირებულება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ იდენტური საქონლის ექსპორტის თარიღსა და შესაფასებელ საქონელის ექსპორტის თარიღს შორის განსხვავება არ აღემატება 30 დღეს, ნაცვლად 90 დღისა, როგორც ეს არსებული რედაქციით არის დადგენილი.

გარდა ამისა, ცალკეული სახის საქონლისთვის, რომელთა ფასები მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიან დროის მცირე მონაკვეთში, ზემოაღნიშნული ვადა დადგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანებით. (ნავთობპროდუქტები, კვებისპროდუქტები ფასთა სეზონური ცვლილებისას და სხვ.)

33-ე მუხლს დამატებული მე-6 ნაწილი ადგენს, რომ იდენტური იმპორტირებული საქონლის გარიგების ფასი შეძლება იყოს მხოლოდ პირველი მეთოდის (გარიგების ფასის მეთოდი) საფუძველზე მანმადე განსაზღვრული საბაჟო ღირებულება.

დ) 34-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების მიხედვით იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების დასადგენად მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულება გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი საქონლის ექსპორტის თარიღსა და შესაფასებელ საქონელის ექსპორტის თარიღს შორის განსხვავება არ აღემატება 30 დღეს, ნაცვლად 90 დღისა, როგორც ეს არსებული რედაქციით არის დადგენილი.

გარდა ამისა, ცალკეული სახის საქონელისთვის, რომელთა ფასები მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიან დროის მცირე მონაკვეთში, ზემოაღნიშნული ვადა დადგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. (ნავთობპროდუქტები, კვებისპროდუქტები ფასთა სეზონური ცვლილებისას და სხვ.)

34-ე მუხლს დამატებული მე-6 ნაწილი ადგენს, რომ მსგავსი იმპორტირებული საქონლის გარიგების ფასი შეძლება იყოს მხოლოდ პირველი მეთოდის (გარიგების ფასის მეთოდი) საფუძველზე მანმადე განსაზღვრული საბაჟო ღირებულება.

ე) შედგენილი ღირებულების მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას ღირებულებაში ჩასართავ ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს „საერთო ხარჯები“.

36-ე მუხლში გათვალისწინებულია დაზუსტებით ხასიათის ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, განიმარტება „საერთო ხარჯების“ მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს საექსპორტო საქონლის წარმოებისა და გაყიდვის პირდაპირ და ირიბ ხარჯებს, გარდა ამ საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, დამზადებისა და დამუშავების ღირებულებისა.

ასევე დაზუსტებულია, რომ შედგენილი ღირებულების მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას მასში უნდა შევიდეს საქონლის შესყიდვისათვის გაწეული საკომისიო და საბროკერო ხარჯები და იმ კონტეინერების ღირებულება, რომლებიც საბაჟო მიზნებისათვის განიხილება იმპორტირებულ საქონელთან ერთობლიობაში. ასევე ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ღირებულება, რომელიც მყიდველმა გამყიდველს მიაწოდა იმპორტირებული საქონლის წარმოებაში გამოსაყენებლად.

ვ) 37-ე მუხლის ცვლილებით დგინდება, რომ ღირებულების განსაზღვრის სარეზერვო მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ მიზანშეწონილი საშუალებების გამოყენების გზით, რომლებიც შეესაბამება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგად დებულებებს.

ასევე დგინდება, რომ თუ იმპორტიორი მოითხოვს, მას წერილობითი ფორმით ეცნობება სარეზერვო მეთოდის საფუძველზე განსაზღვრული საბაჟო ღირებულებისა და გამოყენებული მეთოდის შესახებ.

ზ) 38-ე მუხლის ცვლილებით დაზუსტდა „საკომისიო ხარჯების“ მნიშვნელობა, რაც წარმოადგენს იმპორტიორის მიერ თავისი აგენტისათვის შესაფასებელი საქონლის შესაძენად გაწეული მომსახურებისთვის გადახდილ საკომისიოს.

ასევე დგინდება, რომ იმპორტიორს შეუძლია მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერების (ტარა და გადასაზიდი სხვა საშუალება) ღირებულება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით პროპორციულად გადაანაწილოს შესაფასებელ საქონელზე (დაემატოს შესაფასებელი საქონლის ღირებულებას).

გარდა ამისა დგინდება, რომ საქონლის საბაჟო ღირებულებაში არ უნდა იყოს ჩართული იმპორტირებული საქონლის საქართველოში წარმოების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი ხარჯები და მყიდველის მიერ იმპორტირებული საქონლის დისტრიბუციის ან გაყიდვის უფლების მისაღებად გაწეული ხარჯები, თუ ისინი გამოყოფილია საქონლის ფაქტობრივი ფასიდან.

თ) 43-ე მუხლის ახალი რედაქციით დგინდება, რომ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავებით მიღებული გადამუშავების პროდუქტების საბაჟო ღირებულება, რომელიც დეკლარირებულია იმპორტის რეჟიმში, განისაზღვრება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული შესაბამისი ნედლეულის საბაჟო ღირებულების ფაქტობრივად გადამუშავებული ნაწილის მიხედვით.

13. 50-ე მუხლის ცვლილებით ჩნდება წინასწარი დეკლარირების შესაძლებლობა. დაინტერესების შემთხვევაში პირს შესაძლებლობა ეძლევა მოახდინოს შემოსატანი საქონლის წინასწარი დეკლარირება. აღნიშნული საშუალებას მისცემს იმპორტიორს საგრძნობლად შეამციროს საქონლის წარდგენისას გასატარებელი საბაჟო პროცედურები, რაც თავისმხრივ შეუწყობს ხელს საბაჟო გამშვები პუნქტებისა (საბაჟო საგუშაგოების) და გაფორმების ადგილების გამტარუნარიანობის ამაღლებას.

14. კოდექსიდან XI თავის (57-58-ე მუხლების) ამოღებას განაპირობებს ტრანზიტის რეჟიმში საქონლის მოსაქცევად განსახორციელებელი საბაჟო პროცედურების დაკონკრეტებისას კოდექსში არსებული მექანიკური უზუსტობის გასწორების აუცილებლობა.

15. 61-ე მუხლის მე-4 ნაწილის ცვლილება ითვალისწინებს საქონლის, რომელზეც განსაზღვრულია საბაჟო დამუშავების ოპერაცია, დროებითი დასაწყობების ვადასთან დაკავშირებით გამონაკლისის დადგენას, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის მიზნით ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონლისთვის.

16. 63-ე მუხლის ცვლილება გამომდინარეობს 103-ე მუხლის ცვლილებიდან, რომელიც ითვალისწინებს დროებითის საბაჟო საწყობის (ღია და დახურული) ცნების გაუქმებას.

17. 64<sup>2</sup> მუხლი დამატება ითვალისწინებს კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების გამოყენებას, რომელიც საშუალებას იძლევა მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმებით საბაჟო კონტროლს გვერდის ავლით შემოტანილი საქონელი შეუფერხებლად იქნას გატარებული დანიშნულების ადგილამდე, მისი წყაროსა და მიმღების გამოვლენის მიზნით.

18. 65-ე მუხლის ცვლილება გამოწვეულია 50-ე მუხლის ცვლილებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს წინასწარი დეკლარირების უფლების შემოღებას.

19. 68-ე მუხლზე მე-3 ნაწილის დამატება განპირობებულია იმით, რომ საბაჟო კოდექსის 64-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე მიღებული ფინანსთა მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს საბაჟო კონტროლის ისეთ ღონისძიებას (დერეფანს) როდესაც საჭირო არ არის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

20. 71-ე მუხლის შემოთავაზებული ცვლილება საბაჟო ორგანოს აძლევს უფლებს განახორციელოს დეკლარაციაში ცვლილება, იმის გათვალისწინებით, რომ თუ არასწორად დეკლარირებული მონაცემები გახდა საბაჟო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, დეკლარაციაში ცვლილებების შეტანა დაიშვება შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის დადგენილი წესით შედგენის შემდეგ.

21. 72-ე მუხლის ცვლილებით დგინდება, რომ ბათილად შესაძლებელია ცნობილ იქნეს საქონლის საშვების შემდგომაც. ასევე სწორდება გრამატიკული უზუსტობები, და უქმდება 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი – დეკლარაციის ბათილად ცნობის ერთ-ერთი საფუძველის დამდგენი ნორმა.

22. 73-ე მუხლის შემოთავაზებული ცვლილებით დაკონკრეტდა რომ, საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად გამოიყენება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის მოქმედი შესაბამისი საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, მათ შორის ელექტრონული დეკლარირებისას.

23. 82-ე მუხლის ცვლილება ითვალისწინებს არსებული არასწორი ნორმის ცვლილებას და ადგენს, რომ საბაჟო ორგანოს აქვს საქონლის ნიშანდების უფლება ყოველთვის, როცა ეს აუცილებელია საქონლის შემდგომი იდენტიფიცირებისათვის.

24. 84-ე მუხლის ცვლილება აზუსტებს, რომ ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი განხორციელდება უცხოური საქონლი მიმართ საბაჟო კონტროლის ყველა ზონაში და არა მარტო საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე.

25. 86-ე მუხლის ცვლილება შესაძლებლობას იძლევა დეკლარირების შედეგად წარმოშობილი საბაჟო ვალდებულებისას, საქონელი გაიშვებულ იქნას როგორც საბაჟო გადასახდელების მთლიანად გადახდის ან ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მთლიანი საბაჟო ვალდებულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის შემდეგ, ასევე საბაჟო გადასახდელების ნაწილის გადახდისა და დარჩენილი ნაწილზე გარანტიის წარდგენის შემდეგ.

26. 87-ე მუხლის ცვლილება ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების დაშვებას გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონიდან გატანის ვადასთან დაკავშირებით.

27. 90-ე მუხლის ცვლილება მომზადებულია აღნიშნული მუხლით დადგენილი მოთხოვნების ამავე კოდექსის 87-ე მუხლის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რომლებითაც დადგენილია საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვის პროცედურები.

28. 92-ე მუხლის ამოღება განპირობებულია XIV თავის დამატებიდან გამომდინარე.

29. კოდექსს ემატება ახალი XIV<sup>1</sup> თავი, (92<sup>1</sup> – 92<sup>12</sup> მუხლები) რომელიც ითვალისწინებს ახალი საბაჟო პროცედურის–საქონლის გაშვების შემდგომი საბაჟო შემოწმების შემოღებას;

საბაჟო ორგანოს უფლება ექნება შეამოწმოს საბაჟო ტვირთები ქვეყნის სივრცეში, საბაჟო პროცედურების ჩატარების შემდეგ.

აღნიშნულის შედეგად გაიზრდება საბაჟო გაფორმების ადგილებისა და საბაჟო გამშვები პუნქტების (საბაჟო საგუშაგოების) გამტარუნარიანობა, შემცირდება საქართველოში შემოტანილი/გასატანი საქონლის მიმართ, მის გაშვებამდე საბაჟოზე განსახორციელებელი პროცედურების დროს და რაოდენობა;

დეკლარანტის სასაქონლო პარტიის შერჩევა, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს საქონლის გაშვების შემდგომი საბაჟო შემოწმება, ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული რისკების განსაზღვრის საფუძველზე. (ღურჯი დერეფანი)

საქონლის გაშვების შემდგომი საბაჟო შემოწმების დროს დაკვირვების პროცედურების განხორციელებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის XV თავით გათვალისწინებული პროცედურები - ქრონომეტრაჟი, საქონლის საკონტროლო შესყიდვა, ინვენტარიზაცია და სხვ. გარდა ამისა საბაჟო ორგანოს უფლება აქვს დაათვალიეროს და აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში.

საქონლის გაშვების შემდგომი საბაჟო შემოწმებისას გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები: კამერალური საბაჟო შემოწმება, მიმდინარე გასვლითი საბაჟო შემოწმება. აგრეთვე საკონტროლო გასვლითი საბაჟო შემოწმება და გადაუდებელი საკონტროლო შემოწმება, რისთვისაც აუცილებელია მოსამართლის ბრძანება.

ამასთან, საქონლის გაშვების შემდგომი საბაჟო შემოწმების შეჩერება შესაძლებელია შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი პირის ბრძანების საფუძველზე.

30. 95-ე მუხლის ცვლილებით ზუსტდება (სწორდება), რომ საბაჟო ზედამხედველობის დასრულება არ ხდება მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლისთვის მიზნობრივი დანიშნულების სხვა მიზნობრივი დანიშნულებით შეცვლისას.

ასევე დგინდება, რომ მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობა დასრულებულ იქნება თუ გადახდილ იქნება იმპორტის გადასახდელების შესაბამისი თანხა.

31. 97-ე მუხლის პირველი ნაწილის ცვლილება ითვალისწინებს საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას არასატარიფო ღონისძიებებიდან გამონაკლისის სახით ნებართვების დადგენას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას მოთხოვნილი საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას.

32. 102-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ცვლილება ითვალისწინებს საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას არასატარიფო ღონისძიებებიდან გამონაკლისის სახით ნებართვების დადგენას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას მოთხოვნილი საქონლის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენებით დასაწყობებისთვის.

33. 103-ე მუხლში ცვლილებით გათვალისწინებულია დროებითი საბაჟო საწყობის (ღია და დახურული) ცნების გაუქმება, ვინაიდან პრაქტიკამ ცხადყო, რომ საკვებით ზედმეტია დროებითი შენახვის საბაჟო საწყობების (ღიაც და დახურულიც) დეფინიციის არსებობა.

34. 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის ცვლილება ითვალისწინებს საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მაძიებლის მიერ საბაჟო საწყობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულების დამდგენი ნორმის დაზუსტებას.

35. 104-ე მუხლზე დამატებულ მე-4 და მე-5 ნაწილებს შემოაქვს ამკრძალავი ნორმები, რომლებითაც დაუშვებელია ნებართვის მფლობელის საწარმოს სხვა საწარმოსთან შერწყმისას, გამოყოფისას ან გაერთიანებისას ნებართვის სხვა პირზე გადაცემა, ასევე ნებართვის მფლობელის საწარმოს სრულ საფირმო სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებისას დგინდება ნებართვის მფლობელის ვალდებულება 7 დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული გარანტია, რომელშიც „პრინციპალის“ გრაფაში მიეთითება საწარმოს სახალი სახელწოდება.

36. 110-ე მუხლის ცვლილება ითვალისწინებს გრამატიკული უზუსტობის გასწორებას. კერძოდ საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადა, რომელსაც საქონლის მომთავსებელი უთითებს საბაჟო დეკლარაციაში, არ უნდა აღემატებოდეს ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების საფუძველზე განსაზღვრულ ვადას და არა ფაქტობრივ ვადას, როგორც ეს არსებულ რედაქციაში ფიქსირდება. ასევე დგინდება, რომ აღნიშნული ვადის გადავადება ხდება ხელახალი დეკლარირებით.

37. 111-ე მუხლის ცვლილება ადგენს შეზღუდვას, რომლის მიხედვითაც აკრძალულია საკუთრების უფლების გადაცემა საბაჟო საწყობში შენახულ, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავების პროდუქტზე, ნაშთებსა ან/და ნარჩენებზე.

38. 113-ე მუხლის ცვლილება მომზადებულია აღნიშნული მუხლით დადგენილი მოთხოვნების ამავე კოდექსის 87-ე მუხლის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რომლითაც დადგენილია საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვის პროცედურები.

39. 114-ე მუხლის პირველი ნაწილის ცვლილება დაკავშირებულია გრამატიკული უზუსტობის გასწორებასთან, ხოლო მე-4 ნაწილის ცვლილება ითვალისწინებს უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემას როგორც საქართველოს საწარმოზე ან მეწარმე ფიზიკურ პირზე ასევე უცხოურ საწარმოზე ფიზიკურ პირზე.

მე-5 ნაწილის ცვლილება ითვალისწინებს უბაჟო ვაჭრობის ნებართვის მაძიებლის მიერ უბაჟო ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულების დამდგენი ნორმის დაზუსტებას.

40. 114-ე მუხლზე დამატებულ 4<sup>1</sup> და 4<sup>2</sup> ნაწილებს შემოაქვს ამკრძალავი ნორმები, რომლებითაც დაუშვებელია ნებართვის მფლობელის საწარმოს სხვა საწარმოსთან შერწყმისას, გამოყოფისას ან გაერთიანებისას ნებართვის სხვა პირზე გადაცემა, ასევე ნებართვის მფლობელის საწარმოს სრულ საფირმო სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებისას დგინდება ნებართვის მფლობელის ვალდებულება 7 დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული გარანტია, რომელშიც „პრინციპალის“ გრაფაში მიეთითება საწარმოს სახალი სახელწოდება.

41. 119-ე მუხლის პირველი ნაწილის ცვლილებით საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის გადამუშავების ვადა იზრდება 3 წლამდე, ხოლო მე-3 ნაწილის ცვლილებით ზუსტდება, რომ დეკლარანტის მიერ წინასწარ განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ერთჯერადად არა უმეტეს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადით.

42. 121-ე მუხლში ცვლილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „იდენტური საქონლის“ შესახებ მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის. რაც შეეხება გადამუშავების პროდუქტის მიმართ საბაჟო ვალდებულების განსაზღვრას, ასეთი პროდუქტის იდენტური საქონლის მოძიება ფაქტიურად შეუძლებელი იქნება. ამდენად, მიზანშეწონილია ასეთ შემთხვევაში საბაჟო ვალდებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნეს პროდუქტის საწარმოებლად (მისაღებად) დახარჯული შესაბამისი გადასამუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულებია.

43. 125-ე მუხლში სიტყვები „სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გაუტარებლად“ იცვლება „არასატარიფო ღონისძიებების გამოყენებით“. აღნიშნულის საფუძველია ის გარემოება, რომ ტერმინი „სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები“ მოიცავს სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებებსაც, ხოლო საქონლის დროებითი შემოტანის დროს, მიუხედავად იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებისა (სატარიფო ღონისძიებების გამოყენებისა), გამოიყენება კანონმდებლობით გათვალისწინებული არასატარიფო ღონისძიებებიც. ასევე ზუსტდება, რომ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში შეიძლება მოექცეს ის უცხოური საქონელი, რომლის მიმართაც განსაზღვრული იყო სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

44. 126-ე მუხლში ცვლილებით გზნახულია მისი პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ამოღება, რომელიც საქონლის დროებით შემომტან პირს უდგენს საქონლის უკან გატანის ვალდებულებაზე დასაბუთებული მონაცემების წარდგენის ვალდებულებას, რა უმეტეს შემთხვევაში შეუსრულებადია.

ცვლილება ასევე ითვალისწინებს საქონლის დროებით შემოტანის ვადის შესახებ მონაცემის წარმოდგენის ვალდებულების გაუქმებას, ვინაიდან აღნიშნული ვადა საქონლის დროებით შემომტანი პირის მიერ ისედაც ფიქსირდება დეკლარაციაში.

45. 127-ე მუხლის ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ზოგიერთი საქონლის ტექნიკური და საექსპლუატაციო პირობებიდან გამომდინარე, საქონლის დროებითი შემოტანის გონივრული ვადა შესაძლებელია აღემატებოდეს 2 წელს. წარმოდგენილი ცვლილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ენიჭება

უფლება, საქონლის დროებითი შემოტანის კონკრეტულ შემთხვევაში ან/და საქონლის ცალკეული სახეობისათვის დაადგინოს დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის განსხვავებული ვადები.

46. 128-ე მუხლის პრეამბულაში ცვლილება ითვალისწინებს იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით შემოტანილ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონლისთვის საქონლის დროებითი შემოტანის ვადის გაგრძელების შემთხვევაშიც მის სრულად განთავისუფლებას იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან.

47. 130-ე მუხლის პირველი ნაწილის ცვლილებით საქონლის დროებით შემომტან პირს საშუალება ეძლევა იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულ საქონელზე იმპორტის გადასახდელები გადაიხადოს ერთიანად, ხოლო მე-3 ნაწილში ცვლილება ითვალისწინებს საქონლის გადამცემი პირის მიერ გადასახდელი გადასახდელების ოდენობის დაკონკრეტებას ამავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი პირობების შესაბამისად. მე-4 ნაწილში ცვლილება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ითვალისწინებს საურავის დარიცხვას დავალიანების წარმოშობის დღიდან.

48. 131-ე მუხლის ცვლილება ითვალისწინებს, საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის მიმართ საბაჟო ვალდებულების წარმოშობისას საბაჟო გადასახდელების თანხა განისაზღვროს აღნიშნული საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევისას დეკლარირებული მონაცემების საფუძველზე.

49. 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის ცვლილებით კონკრეტდება, რომ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების წინასწარ განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ერთჯერადად არა უმეტეს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადით, ანუ კიდევ 2 წლით.

50. საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით 144-ე მუხლში ცვლილება ითვალისწინებს, რომ შემცვლელი პროდუქტის სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენება ნებადართულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასამუშავებელი საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ვადის მხოლოდ შეკეთების მიზნით.

51. 147-ე მუხლის ცვლილება ითვალისწინებს ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის მაქსიმალური ვადის 30 დღიდან 120 დღემდე გაზრდას, ვინაიდან ქვეყნის საზღვაო პორტების გამტარუნარიანობის, სატვირთო გემების პორტში დაგვიანებით გამოცხადებისა და ქვეყანაში მიმდინარე გადამუშავების ოპერაციების მოცულობიდან გამომდინარე აღნიშნული ვადა უმეტეს შემთხვევაში არასაკმარისია.

52. 148-ე მუხლის მე-2 ნაწილის ცვლილება ითვალისწინებს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონელზე გადამუშავების ვადის გასვლამდე ექსპორტის საბაჟო რეჟიმის განსაზღვრის შესაძლებლობას.

53. 166-ე მუხლის პირველ ნაწილში ცვლილება გაპირობებულია იმ ფაქტით, რომ „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად რეექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო მოსაკრებლისაგან. აღნიშნულთან ერთად, ამოღებულ იქნა საქონლის მიმართ რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენებისას გადასახდელებისაგან გათავისუფლების, გადახდილი გადასახდელების დაბრუნების ან ჩათვლისათვის ამავე მუხლით დადგენილი პირობა სხვა რეჟიმის დასრულებაზე მითითებით, რომელიც შეუსაბამოს ხდის მოქმედი დებულების გამოყენებას.

ამასთან, 166-ე მუხლის მე-2 ნაწილში შეტანილი ცვლილებით ხორციელდება რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციას დაქვემდებარებული საქართველოს

საქონლის დაკონკრეტება ამავე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით. 168-ე მუხლის ემატება წინადადება, რომელიც საქონლის მესაკუთრესაც აძლევს უფლებას თავად წარადგინოს განცხადება უცხოური საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადასაცემად.

54. კოდექსის 168-ე მუხლის ემატება წინადადება, რომელიც საქონლის მესაკუთრესაც აძლევს უფლებას თავად წარადგინოს განცხადება უცხოური საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადასაცემად.

55. 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის ცვლილებით ხდება მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით შემოტანილი საქონლის სხვა მიზნით გადაცემისთვის არსებული 3 წლიანი ვადით შეზღუდვის ამოღება.

56. 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის ცვლილებით დგინდება, რომ დაბრუნებული საქონელი განიხილება როგორც ჩვეულებრივი საქონლის იმპორტი. ამასთან, აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია საგადასახადო კოდექსის 230-ე, 263-ე, 265 და 2705 მუხლებში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

57. 168-ე მუხლის ცვლილება გამოდინარეობს 50-ე მუხლის ცვლილებიდან, რომელიც ითვალისწინებს წინასწარი დეკლარირების უფლების შემოღებას.

58. 193-ე მუხლის ცვლილებით სწორდება მექანიკური უზუსტობა. კერძოდ, უქმდება ამ კოდექსის 188-ე და 189-ე მუხლებზე მითითება.

59. 205-ე მუხლის ცვლილებით დგინდება, რომ საბაჟო ორგანოს საბაჟო შეტყობინების გაგზავნა შეუძლია საბაჟო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია დეკლარირების გარდა სხვა მოქმედება ან უმოქმედობა.

60. 232-ე მუხლში ცვლილება ითვალისწინებს ტექსტის სტილისტურად გასწორებას.

61. 233-ე მუხლის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, როდესაც შესაბამისი საგამოძიებო ორგანო დაადგენს, რომ სამართალდარღვევა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, საბაჟო ორგანოს არ აქვს უფლება შეუფარდოს საბაჟო სამართალდარღვევის შესაბამისი მუხლი. პროექტით ზუსტდება, რომ სამართალდარღვევისათვის პირს იმ შემთხვევაში დაეკისრება სანქცია, თუ ამ ქმედებისთვის არ შეუფარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

გარდა ამისა, 233-ე მუხლში ცვლილება ადგენს, რომ თუ საბაჟო სამართალდარღვევისათვის სანქციის გავრცელების დროს, კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი სამმართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

62. 234-ე მუხლის ცვლილებით უქმდება სამართალდარღვევათა ერთობლიობის დეფინიცია, რაც პრაქტიკაში ქმნიდა გარკვეულ პრობლემებს.

63. 235-ე მუხლის ცვლილებით დგინდება, რომ ის სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც ეთანხმება სამართალდამრღვევი პირი და ხელს აწერს მას, ითვლება საბაჟო შეტყობინებად, რაც ამ პირს შესაძლებლობას აძლევს სურვილის შემთხვევაში კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს ეს ოქმი.

64. 236-ე მუხლის ცვლილება გამოდინარეობს 235-ე მუხლის ცვლილებიდან და საბაჟო შეტყობინების მსგავსად პირს უფლება ენიჭება გაასაჩივროს ის სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც შედგენის მომენტში დაეთანხმა ხელმოწერით.

65. 237-ე მუხლში ცვლილება ითვალისწინებს ტექსტის სტილისტურად გასწორებას.

66. 238-ე მუხლის ცვლილებით ხდება დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობითვის დაწესებული ჯარიმის ოდენობის დიფერენციაცია დაგვიანებული დღეების პროპროციულად, რაც უფრო სამართლიანი მიდგომაა არსებულთან შედარებით, რომელიც დეკლარირების თუნდაც ერთი დღის დაგვიანებისათვის ითვალისწინებს 500 ლარიან ჯარიმას.

67. 240-ე მუხლში ცალსახად იმიჯნება, რომ აღნიშნული მუხლთ ჯარიმდება ის პირი რომელიც საბაჟო დეკლარაციაში შეიტანს ნებისმიერ არასწორ მონაცემ(ებ)ს, რომელმაც გამოიწვია საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება.

68. 241-ე მუხლის ცვლილება ითვალისწინებს არსებული რედაქციის 240-ე მუხლიდან არასატარიფო ღონისძიებებისთვის დადგენილი სანქციის ცალკე მუხლად გამოყოფას და ამ სამართალდარღვევისთვის – არასატარიფო ღონისძიებების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობისთვის ადგენს ფიქსირებულ ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.

69. 242-ე მუხლის ცვლილებით ცალსახად ყალიბდება ამ მუხლის გამოყენების შემთხვევები – როცა მოხდება საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, და ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ამ საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარით.

70. 244-ე მუხლის ცვლილებით ხდება თავისუფალი საწყობისთვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის ჯარიმების ამოღება და საწყობების დადგენილი მოთხოვნების დარღვევის მუხლში (252) გაერთიანება, რომელიც ითვალისწინებს უფრო დიდი ოდენობის ჯარიმას (3000 ლარი).

71. 245-ე მუხლის ცვლილებით ხდება ტერმინოლოგიური შესწორება.

72. 246-ე მუხლში ჩნდება ახალი სახის ჯარიმა დანიშნულების საბაჟო ორგანოში/დანიშნულების ადგილას, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისთვის და ჯარიმა განისაზღვრება 100 ლარის ოდენობით, ყოველ დაგვიანებულ სრულ (არასრულ) დღეზე. ასეთი ფაქტის დადგომისას დღეს გამოიყენება 300 ლარიანი ჯარიმა (მუხლი 253. სხვა ჯარიმები)

73. 248-ე მუხლის ცვლილებით დგინდება, რომ აღნიშნული ჯარიმის მუხლი გამოიყენება საქონლის საბაჟო ზედამხედველობიდან გასვლისას მხოლოდ მაშინ თუ ამას მოჰყვა საქონლის დაკარგვა, განადგურება ან უკანონო განკარგვა.

74. 250-ე მუხლის ცვლილებით ხდება ჯარიმის ნორმის ამოღება, რომელიც გამოიყენებოდა დაუძღვევლი ძალის დადგომისას ამის თაობაზე საბაჟო ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეუტყობინებლობისთვის, ხოლო მის ნაცვლად ჩნდება ჯარიმის ნორმა დეკლარაციაში საბაჟო ღირებულებაზე არასწორი მონაცემების შეტანისათვის, რომელსაც არ გამოუწვევია საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება და ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება შემცირებული ან გაზრდილი საბაჟო ღირებულების 20 %-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა.

75. 252-ე მუხლის ცვლილება გამომდინარეობს 244-ე მუხლის ცვლილებიდან.

76. 253-ე მუხლის ცვლილებით უქმდება ჯარიმის ნორმა, რომელიც ადგენდა ფიქსირებულ 300 ლარიან ჯარიმას და პრაქტიკაში ხშირად გამოიყენებოდა გაუმართლებლად, ნებისმიერ მცირე დარღვევებზე, ხოლო მის ნაცვლად ჩნდება ჯარიმის ახალი ნორმა საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანისთვის, რომლის შედეგად არასრულად ან არასწორად იდენტიფიცირდება დეკლარირებული საქონელი, ან არასრულად ან არასწორად აისახება საბაჟო დეკლარაციაში სავალდებულოდ შესატანი სხვა ინფორმაცია, ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ფიქსირებული 200 ლარის ოდენობით.

77. 254-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით იხსნება საქართველოში ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რეექსპორტის და საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცევის დროს ვადასთან დაკავშირებული შეზღუდვა.

78. 254-ე მუხლის მე-10 ნაწილის დამატება განპირობებულია დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის (ღია და დახურული) ცნების გაუქმებიდან გამომდინარე და ითვალისწინებს იმ ნებართვის მფლობელებს, რომელთაც ეს ნებართვა აღებული აქვთ ამ ცვლილების ძალაში შესვლამდე, მიეცეთ უფლება,

განახორციელონ შესაბამისი სანებროვო საქმიანობები ნებართვით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტის მიხედვით გადასახადის მოსაკრებლის ან სხვა სახის განაკვეთების ოდენობის ცვლილება გათვალისწინებული არაა.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში**

**საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.